



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 98
28/12/2015

98-06-4-201512281435



განკარგულება N98

“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017-2020 წლების ბიუჯეტის პროექტით გამოსაყოფ ასიგნებებზე საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარსადგენი საბიუჯეტო განაცხადის ფორმების განსაზღვრისა და შევსების წესის დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 103-ე მუხლის, 106¹ მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად:

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017-2020 წლების ბიუჯეტის პროექტით გამოსაყოფ ასიგნებებზე საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარსადგენი საბიუჯეტო განაცხადის ფორმების განსაზღვრისა და შევსების წესის დამტკიცების შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

2. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო